თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №135461

ნომერი: AR142846

თარიღი : 20.04.2012

გაცემის თარიღი : 25.04.2012

გაცნობის თარიღი : 11.05.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გრიშაშვილის, ახუნდოვის და ფირდოუსის ქუჩებს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

თეიმურაზ ღვანიძე პ/ნ 01010000724

თბილისი ძმ.ზუბალაშვილების ქ. N 3/5/7

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 07.04.11 წ. 01/1658 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 20.04.12 წელს №ar142846 განცხადებით მომართა თეიმურაზ ღვანიძემ თანაგანმცხადებელ ლეილა ღვანიძესთან ერთად. დაინტერესებული პირების მიერ

მოთხოვნილს იქნა ტექნიკური შეცდომის გასწორება 07.04.11 წლის 01/1658 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: საზაფხულო ფართის ნაცვლად- 577.77 კვ.მ-სა 577.7კვ.მ მითითება.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მოქნე გარემოებები და დაადგინა, რომ 2011 წლის 04 ივლისს ქალაქ თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი კრწანისი), გრიშაშვილის, ახუნდოვის და ფირდოუსის ქუჩებს შორის ი.ბ.ა. „აბანოთუბანი 2006“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე №01/1658 ბრძანებით შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, გაიცა მშენებლობის ნებართვა და №6/1748-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობა.
სამსახურში დაცული საარქივო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ ზემოაღნიშნულ ბრძანებაში, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართი – 5742.60 კვ.მ არ შეადგენს სხვა ფართობების ჯამს. პროექტის ავტორის მიერ შედგენილი განმარტებითი ბარათის შესწავლის საფუძველზე ცხადია, რომ 01/1658 ბრძანებაში საზაფხულო ფართი მითითებულია შეცდომით, კერძოდ: საზაფხულო ფართი – 577.77 კვ.მ-ისნაცვლად უნდა იყოს 577.7 კვ.მ.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დაკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა 2011 წლის 4 ივლისის №01/1658 ბრძანებაში.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს თეიმურაზ და ლეილა ღვანიძეების 20.04.12 წელს №ar142846 განცხადება;
2. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 04 ივლისს 01/1658 ბრძანებაში, კერძოდ: საზაფხულო ფართი ნაცვლად - 577.77 კვ.მ-ისა მიეთითოს - 577.7 კვ.მ-ს;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 04 ივლისს 01/1658 ბრძანებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ.|+995 32| 272 22 22
ფაქს.|+995 32| 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge

03.07.11 № 12/68354

თბილისის არქიტექტურა №

მშენებლობის სანებართვო მოწმობა №6/1748-1

ნებართვის გაცემის თარიღი	„04“ 07 2011წ.
მშენებლობის დაწყების თარიღი	10 ივლისი 2011წ.
ნებართვა ძალაშია	10 ივლისი 2012წ.

დამკვეთი ი.მ. „აბანოთუბანი 2006“
(დასახელება)

მშენებლობის ობიექტი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
(დასახელება, ფუნქციური დანიშნულება)

ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, (სექტორი – კრწანისი)
გრიშაშვილის, ახუნდოვის და ფირდოუსის ქუჩებს შორის
(მისამართი / ადგილმდებარეობა)

№ 1 / 18 / 4/ 17 / 11
(მიწის საკადასტრო ნომერი)

პროექტი შეთანხმებულია ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ (მის.: შარტავას ქ. №7)
(შემთანხმებელი ორგანიზაციის დასახელება, მისამართი)

ბრძანება №01/1658, 04.07.11.

ნებართვა გაიცა ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ (მის.: შარტავას ქ. №7)
(ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელება, მისამართი)

ბრძანება №

ნებართვაზე ხელმომწერი პირი გ. ოთარაძე
(სახელი, გვარი)

ბ.ა.

განყოფილების უფროსი
(თანამდებობა)

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
"თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ქ. შარტავას 7
ტელ [+995 32] 72 22 22 ფაქს. [+995 32] 37 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect

თბილისის არქიტექტურა

ბრძანება № 01/1658

" 04 " 07 2011

ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი – კრწანისი), გრიშაშვილის, ახუნდოვის და ფირდოუსის ქუჩებს შორის ი.ბ.ა. „აბანოთუბანი 2006"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ.

დამკვეთი: ი.ბ.ა. „აბანოთუბანი"
საპროექტო ორგანიზაცია: შ.პ.ს. „ლაზათი და კომპანია"
ავტორი: თ. ღვანიძე, ლ. ქემოკლიძე

საფუძველი –
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (სარეგისტრაციო №882011167341, 11.04.2011წ., საკადასტრო კოდი №1/18/4/17/11);
- საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 09.08.2005 წლის №3/377 ბრძანება;
- საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 11.01.2006 წლის №3/7 ბრძანება;
- ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 08.05.11 წლის №20/343 პროექტის შეთანხმების შესახებ;
- ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 15.03.2007 წლის №6/197 მშენებლობის ნებართვა;
- ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 13.07.2009 წლის №6/898 ბრძანება მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლასთან დაკავშირებით ახალი მშენებლობის ნებართვისა და სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ და 13.07.2009 წლის №6/898-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობა;
- ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 27.07.10 წლის №3571 ბრძანება;
- გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს სხდომის ოქმი №9, 01.03.11წ.;
- ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი №11, 23.03.2011წ.;
- ქალაქ თბილისის მერის 2011 წლის 5 აპრილის №632 განკარგულება;
- ი.ბ.ა. „აბანოთუბანი 2006"-ს კრების ოქმი №2, 12.06.11 (რეგისტრაციის №110594691, 13.06.2011წ.);
- ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 08.02.2011 წლის №000475 დადგენილება;
- საგადასახადო დავალება №1, 07.06.2011წ.;
- შ.პ.ს. „ლაზათი და კომპანია"-ს დირექტორის თ. ღვანიძის 08.06.11 და 14.06.11 წლის №12/68504-13 განცხადებები;

III კლასის შენობა-ნაგებობა

მიწის ნაკვეთის ფართი	– 2204.00 მ²
მოშენების ფართი	– 873.00 მ²
საერთო ფართი	– 5742.60 მ²
მათ შორის:	

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარბანას 7
ტელ.|+995 32| 72 22 22 ფაქს.|+995 32| 37 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect

ბინების საერთო ფართი	– 1861.20 მ²
მათ შორის:	
საცხოვრებელი ფართი	– 1248.80 მ²
დამხმარე ფართი	– 612.40 მ²
საზოგადოებრივი ფართი	– 1329.50 მ²
სხვენის სართულის საერთო ფართი	– 895.20 მ²
სარდაფის ფართი	– 804.00 მ²
კიბის უჯრედის ფართი	– 275.00 მ²
საზაფხულო ფართი	– 577.77 მ²
სამშენებლო მოცულობა	– 14905.00 მ³

თანახმად საქართველოს მთავრობის 11.08.2005 წლის №140-ე დადგენილებისა და 2009 წლის 24 მარტის №57-ე დადგენილების 99-ე მუხლისა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეთანხმდეს ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში ((სექტორი – კრწანისი), გრიშაშვილის, ახუნდოვის და ფირდოუსის ქუჩებს შორის ი.ბ.ა. „აბანოთუბანი 2006"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი;
2. გაიცეს მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა.
3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2011 წლის 10 ივლისიდან 2012 წლის 10 ივლისის ჩათვლით.
4. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) ოფიციალური გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

მშენებლობის ეტაპები: არამზიდი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა, ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-კომუნალური ქსელების მოწყობა და ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი, გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები, ტერიტორიის კეთილმოწყობა, სამუშაოების დასრულება.

– სანებართვო პირობებით გათვალისწინებული მშენებლობის თითოეული ეტაპის დასრულებისას ნებართვის მფლობელი ვალდებულია, შეადგინოს მშენებლობის ეტაპის დასრულების შესახებ ოქმი სამშენებლო მოედანზე წარმოებული სამუშაოების დათვალიერებისა და სანებართვო პირობებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე;

– მშენებლობის ეტაპის დასრულების შემდეგ ოქმს ხელს აწერენ დამკვეთი და მენარდე, ან/და მათი საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი;

– შედგენილი ოქმი სანებართვო პირობებით დადგენილი მორიგი ეტაპის დასრულებამდე წერილობითი სახით უნდა წარედგინოს შენობა-ნაგებობის ქარგისად აღიარებამდე უფლებამოსილ შესაბამის ორგანოს და მხოლოდ ამ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ წარმოადგენს იგი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს;

– მშენებლობის ეტაპის დასრულების ოქმის შედგენის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება ოქმის შემდგენელს;

– ოქმის შეუდგენლობა, ან ოქმში არასწორი მონაცემების შეტანა გამოიწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას;

– დამკვეთი ვალდებულია III, IV კლასების ახალი მშენებლობისა და შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლიდან 6 თვის ვადაში შენობა-ნაგებობა წარადგინოს უფლებამოსილ ორგანოში ვარგისად აღიარებისთვის;

– მშენებლობის დამთავრების შემდეგ ობიექტი მიღებულ იქნას ექსპლუატაციაში კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;

ძველი თბილისის სანებართვო
განყოფილების უფროსი თაყაძე